

მედია განათლების გაცვლითი პროგრამა ჟურნალისტებისთვის საქართველოდან

ანკეტების მიღების ბოლო ვადა: 30 ოქტომბერი

პროგრამაში მონაწილეობის ანკეტა გადააგზავნეთ: georgiajournalism@gmail.com

აშშ-ის მედია ცენტრებში დაგეგმილი ინტენსიური პროფესიული ტური საშუალებას აძლევს ჟურნალისტებს საქართველოდან აიმაღლონ კვალიფიკაცია და გაიღრმავონ პროფესიული ცოდნა. სილიკონ ველის მედია ორგანიზაციებში ვიზიტი მოიცავს პრაქტიკულ ტრენინგებს და ჟურნალისტებისთვის უახლესი ინტერნეტ აპლიკაციების გაცნობას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ისეთ ონლაინ აპლიკაციებს, როგორცაა „Facebook Crowdtangle“, „Google Tools“, ასევე სხვა საგამოძიებო ჟურნალისტურ რესურსებს, რომლებიც ეხმარება მედიის სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს დამოუკიდებელი რეპორტაჟის/მასალის მომზადებასა და აუდიტორიის გაზომვაში. პროგრამის მიზანია მონაწილეებს მისცეს შესაძლებლობა იმუშაონ ფინანსურად დამოუკიდებელ მედია ორგანიზაციებში, რაც თავის მხრივ ამტკიცებს დემოკრატიას და თავისუფალ სიტყვას საქართველოში.

სან ხოსეს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციების სკოლა, რომლის დევიზია „სწავლა კეთებით“, უმასპინძლებს 20 შერჩეულ ჟურნალისტს საქართველოდან. ზემოაღნიშნული უნივერსიტეტი ორგანიზებას გაუწევს სპეციალურ მედია ტურებს და ტრენინგებს, რომელიც გაიმართება ორ ნაკადად. თითოეულ ნაკადში წარმოდგენილი იქნება 10 ჟურნალისტი. პროგრამის მონაწილენი ჩრდილოეთ კალიფორნიაში 13 დღის განმავლობაში დაესწრებიან პრაქტიკულ ტრენინგებს და სასწავლო სემინარებს, სადაც გაეცნობიან საგამოძიებო ჟურნალისტიკის მონაცემთა ბაზების გამოყენებას, ამბის ვიზუალური გადმოცემისა და ინფოგრაფიკული ტექნიკის გამოყენების გზით მასალის დამუშავებას.

თითოეულ ნაკადში ინგლისური ენის მცოდნე ორ ჟურნალისტს საშუალება მიეცემა გაიაროს ერთკვირიანი სტაჟირება ამერიკულ მედია ორგანიზაციაში. სტაჟირებაზე განაწილება მოხდება შერჩეული სტაჟორისა და მისი მენტორის გამოცდილების და ჟურნალისტური ინტერესების გათვალისწინებით.

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ინგლისური ენის ცოდნა სასურველია, მაგრამ სავალდებულო არ არის. პროგრამა უზრუნველყოფს თარგმანს.

პროგრამის დასრულების შემდგომ, საქართველოში დაბრუნებული მონაწილენი მიიღებენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას ბიზნეს მოდელების შესაქმნელად. სან ხოსეს უნივერსიტეტის ჯგუფი, რომელშიც იქნებიან ორგანიზაციული მართვის ექსპერტები, ეწვევა საქართველოს ივნისში, რათა გამართოს შეხვედრები ქართული მედია ორგანიზაციების მფლობელებსა და მენეჯერებთან. პროგრამა დასრულდება ივნისში

სან ხოსეს უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ საქართველოში გამართული სემინარებით თემაზე ტექნოლოგიები და ვირტუალური რეალობა, რომელიც ასე აქტუალური გახდა მთელი მსოფლიოს ჟურნალისტებისთვის დღეს.

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ბეჭდური, ელექტრონული და ონლაინ მედია ორგანიზაციებში დასაქმებულ ჟურნალისტებს, რედაქტორებს და პროდიუსერებს. აპლიკანტმა უნდა გამოავლინოს პროფესიულ საქმიანობაში მულტიმედია პრაქტიკის გამოყენების უნარი.

პროგრამა დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ.

პროგრამის თარიღები (კონკრეტული თარიღები შეიძლება შეიცვალოს):

სამშაბათი, 2 იანვარი, 2018: მონაწილეების ჩასვლა სან ფრანცისკოში, კალიფორნია. გამგზავრება სან ხოსეში.

ოთხშაბათი, 3 იანვარი - სილიკონ ველის დედაქალაქის სან ხოსეს ცენტრის დათვალიერება. ადამიანის უფლებები და სიტყვის თავისუფლება.

ხუთშაბათი, 4 იანვარი - სტუმრობა “გუგლში” და სემინარი “გუგლთულზის“ გამოყენებაზე

პარასკევი, 5 იანვარი - სემინარი ვიზუალური მონაცემების შემცველი სიუჟეტის მომზადებაზე Moovly, Carto DB, JavaScript-ის გამოყენებით, წამყვანი მონაცემთა ბაზები, ინფოგრაფიკის შექმნა და ა.შ.

შაბათი, 6 იანვარი - ინფოგრაფიკის შექმნა

კვირა, 7 იანვარი - სან ფრანცისკოს დათვალიერება

ორშაბათი, 8 იანვარი - ჯგუფს გამოეყოფა ორი მონაწილე 8-12 იანვარს სტაჟირებაში მონაწილეობის მისაღებად.

ჯგუფის დანარჩენი მონაწილეები ესტუმრებიან გაზეთს/ვებგვერდს „მერკიური ნიუზს (სან ხოსე).

სამშაბათი, 9 იანვარი - სან ფრანცისკოს KQED-TV and Radio-ში (PBS/NPR) სტუმრობა საზოგადოებრივი/სპონსორების დაფინანსებული vs. კერძო/რეკლამით დაფინანსებული მედია მოდელები.

ოთხშაბათი, 10 იანვარი - სტუმრობა “ფეისბუქში” და მითითებები “ქრადთენგლის” გამოყენებისთვის

ხუთშაბათი, 11 იანვარი - სტუმრობა “მეტრო მეგეზინში” (სან ხოსე). შეხვედრა გამომცემელთან. Audit Bureau of Circulation - აუდიტორიის გაზომვის სწავლება პრაქტიკული სწავლება სარეკლამო შემოსავლების გასაზრდელად SJSU-ს ახალი ამბების ჟურნალის სატელევიზიო პროგრამაში Equal Time ჩაწერა

პარასკევი, 12 იანვარი - სტუმრობა KNTV-ში (NBC, სან ხოსე)
შეხვედრა რედაქტორებთან, სემინარები ტექნოლოგიის თემაზე და საგამოძიებო ჟურნალისტიკაში მომუშავე ჟურნალისტებთან

შაბათი, 13 იანვარი - სემინარი - მომავალი დგება დღეს: ვირტუალური რეალობის გამოყენება სიუჟეტის გავლენის გასაუმჯობესებლად

კვირა, 14 იანვარი - გამგზავრება საქართველოში